საკრებულოს იურიდიულ
საკითხთა კომისიის სხდომის
ოქმიN5

ქ.თერჯოლა
ან. ჭანტურიძის ქ. №7

06 აგვისტო 2024 წ

სხდომას უძღვებოდა: იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ბიძინა ბუცხრიკიძე.**

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1.ბიძინა ბუცხრიკიძე, 2. ნინო ჩხიკვაძე, 3. დავით ცხადაძე, 4. კობა კაცაძე, 5.ჯემალი ისაკაძე, 6. იზა მაგრაქველიძე; 7. გიორგი ბარათაშვილი ; 8. ნატალია ასათიანი, 9. ეკა ბერძენიშვილი;10.ომარი ჯიხვაშვილი, 11. რუსუდან კოვზირიძე;

სხდომას არ ესწრებოდა: 0

სხდომას ასევე ესწრებოდა: საკრებულოს აპარატის უფროსი ხათუნა ნიკოლაძე, დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი ტარიელ ფანჩულიძე, იურისტი იმედა რობაქიძე;

კომისიის სიითი შემადგენლობა: 11 წევრი.
კვორუმი: 6 წევრი.
დამსწრე კომისიის წევრთა რაოდენობა: 11 წევრი.

კომისიის სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად'

სხდომის თავმჯდომარემ **ბიძინა ბუცხრიკიძემ** კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. **,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლის შემოღების, მისი ოდენობის განსაზღვრისა და შესაბამისი ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 2 თებერვლის N 10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;**

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

2. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტექნიკური წყლის მიწოდების საფასურის (ტარიფის) დადგენის, საყოფაცხოვრებო და არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლების წყალმომარაგების (ტექნიკური წყალით მომარაგების) რეგულირების წესის, ტექნიკური წყლის მიწოდების ხელშეკრულების ტიპიური ფორმის, ტექნიკური წყალის მომარაგების ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთების საფასურის, მშენებლობის ტექნიკური ზედამხედველობის, აღრიცხვის კვანძის მოწყობისა და შეჭრის საფასურის და აღრიცხვის კვანძის დალუქვისა და მოხსნის აქტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 7 სექტემბრის №გ-

29.29222505 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ;(თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N 28-28242111 წერილი, 29.07.2024 წ);

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 11, წინააღმდეგი-არცერთი;

<u>დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.</u>

<u>კომისიის სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.</u>

1.მოისმინეს: მომხსენებელმა იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ კომისიის სხდომას გააცნო დადგენილების პროექტი „თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლის შემოღების, მისი ოდენობის განსაზღვრისა და შესაბამისი ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 2 თებერვლის N 10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს განუმარტა,(საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის წერილი N GOV 62400019914, 16/07/2024) საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობის სამართლებრივი ზედამხედველობის სამმართველოს მიერ განხორციელდა „თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლის შემოღების, მისი ოდენობის განსაზღვრისა და შესაბამისი ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 2 თებერვლის N 10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალტეტის საკრებულოს 2024 წლის 3 ივლისის N13 დადგენილების სამართლებრივი ექსპერტიზა, რა დროსაც გამოვლინდა ხარვეზი, კერძოდ:უნდა დადგენილიყო არა მოსაკრებლის განაკვეთების ზღვრული ოდენობები, არამედ ზუსტი განაკვეთები, ამიტომ საკრებულოს დაევალა სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის განაკვეთების ამ კანონთან შესაბამისობა, ადგილობრივი მოსაკრებლის კონკრეტული ოდენობა(განაკვეთი).
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულომ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“132-ე მუხლის შესაბამისად უზრუნველყო ამ ღონისძიების გატარება და დადგენილების მესამე მუხლი შეიცვალა შემდეგი განაკვეთებით:

„მუხლი 3“. თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შემოღებულ იქნას სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი, სათამაშო ბიზნესის სახეობის მიხედვით, შემდეგი ოდენობით:

1. ა) სამორინეს თითოეულ მაგიდაზე – კვარტალში 20 000 ლარი;
ბ) თითოეულ სათამაშო აპარატზე – კვარტალში 2 000 ლარი;
გ) თითოეულ წამახალისებელ გათამაშებაზე – საპრიზო ფონდის 10%;
დ) სისტემურ-ელექტრონული ფორმით ორგანიზებულ თამაშობებზე:
დ.ა) სამორინის თამაშობებზე – კვარტალში 250 000 ლარი;

დ.ბ) სათამაშო აპარატების თამაშობებზე – კვარტალში 250 000 ლარი;

დ.გ) ტოტალიზატორის თამაშობებზე – კვარტალში 250 000 ლარი;
ე) ლატარიების მოწყობაზე – ლატარიის რეალიზებული ბილეთების ჯამურ ღირებულებასა და საპრიზო ფონდს შორის სხვაობის 10%;
ვ) აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის მოწყობის ნებართვით ორგანიზებული ობიექტის გარეთ განთავსებული, სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის თითოეულ სალაროზე – კვარტალში 1 500 ლარი;
ზ) კლუბის თითოეულ მაგიდაზე – კვარტალში 4 000 ლარი;

აზრი გამოთქვეს:
კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს წარმოდგენილ დადგენილების პროექტს;

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 11, წინააღმდეგი-არცერთი;

გადაწყვიტეს:

მუხლი 1. **უნდა დამტკიცდეს დადგენილების პროექტი ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლის შემოღების, მისი ოდენობის განსაზღვრისა და შესაბამისი ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 2 თებერვლის N 10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;**

მუხლი 2. საკრებულოს დადგენილების პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს და სხდომას დასამტკიცებლად.

2.მოისმინეს: მომხსენებელმა იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ კომისიის სხდომას გააცნო განკარგულების პროექტი ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტექნიკური წყლის მიწოდების საფასურის (ტარიფის) დადგენის, საყოფაცხოვრებო და არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლების წყალმომარაგების (ტექნიკური წყალით მომარაგების) რეგულირების წესის, ტექნიკური წყლის მიწოდების ხელშეკრულების ტიპიური ფორმის, ტექნიკური წყალის მომარაგების ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთების საფასურის, მშენებლობის ტექნიკური ზედამხედველობის, აღრიცხვის კვანძის მოწყობისა და შეჭრის საფასურის და აღრიცხვის კვანძის დალუქვისა და მოხსნის აქტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 7 სექტემბრის №გ-29.29222505 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს განუმარტა განკარგულების ცვლილების მიზეზი:

ა(ა)იპ ,,თერჯოლის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის მუნიციპალური სამსახური" წესდებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში და თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს (,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტექნიკური წყლის მიწოდების საფასურის (ტარიფის) დადგენის, საყოფაცხოვრებო და არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლების წყალმომარაგების (ტექნიკური წყალით მომარაგების) რეგულირების წესის, ტექნიკური წყლის მიწოდების ხელშეკრულების ტიპიური ფორმის, ტექნიკური წყალის მომარაგების ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთების საფასურის, მშენებლობის ტექნიკური ზედამხედველობის,

აღრიცხვის კვანძის მოწყობისა და შეჭრის საფასურის და აღრიცხვის კვანძის დალუქვისა და მოხსნის აქტის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 7 სექტემბრის №გ-29.29222505 განკარგულების შესაბამისად უზრუნველყოფს თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული წყალმომარაგების ქსელის ექსპლოატაციას, თერჯოლის მუნიციპალიტეტის ცალკეულ სოფლებში წყლის მიწოდებას საყოფაცხოვრებო და არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლებისათვის, ასევე უზრუნველყოფს წყლის საფასურის დარიცხვას და ადმინისტრირებას ა(ა)იპ-ის ბიუჯეტში.

ა(ა)იპ-თან საყოფაცხოვრებო მომხმარებლებთან ურთიერთობისას წარმოიშვა გარკვეული სირთულეები, რაც გულისხმობს, რომ საკრებულოს განკარგულებით, მიღებული ,,საყოფაცხოვრებო და არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლების წყალმომარაგების (ტექნიკური წყალით მომარაგების) რეგულირების წესის მე-5 მუხლით დადგენილია შეღავათი სხვადასხვა პირთა მიმართ, თუმცა არ არის განსაზღვრული რა მოცულობის და ოდენობის წყალი შესაძლებელია მოიხმაროს აბონენტებმა. შესაბამისად ა(ა)იპ ,,თერჯოლის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის მუნიციპალურ სამსახურს“ უჭირს კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღება და შეღავათით მოსარგებლე საყოფაცხოვრებო მომხმარებლების განთავისუფლება, წყლის საფასურის გადახდის ვალდებულებისაგან. რაც ხშირად დამდგარა ა(ა)პი-ს ყოველდღიურ საქმიანობაში (მარავლშვილიანი ოჯახები, სოციალურად დაუცველი ოხახები და სხვა.).

შესაბამისად, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიას და ა(ა)იპ-ის მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულომ განსაზღვროს შეღავათებით მოსარგებლე პირთა კატეგორიისათვის წყლის მოხმარების ლიმიტების ზღვრები ა(ა)იპ ,,თერჯოლის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის მუნიციპალური სამსახურის“ შემოტავაზებული ოდენობებით, რაც უზრუნველყოფს ჭარბი წყლის მოხმარების თავიდან აცილებას და საწარმოო დანახარჯების შემცირებას.

აზრი გამოთქვეს: რუსუდან კოვზირიძემ, დავით ცხადაძემ;
კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს წარმოდგენილ დადგენილების პროექტს;

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 11, წინააღმდეგი-არცერთი;

გადაწყვიტეს:
მუხლი 1. უნდა დამტკიცდეს განკარგულების პროექტი ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტექნიკური წყლის მიწოდების საფასურის (ტარიფის) დადგენის, საყოფაცხოვრებო და არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლების წყალმომარაგების (ტექნიკური წყალით მომარაგების) რეგულირების წესის, ტექნიკური წყლის მიწოდების ხელშეკრულების ტიპიური ფორმის, ტექნიკური წყალის მომარაგების ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთების საფასურის, მშენებლობის ტექნიკური ზედამხედველობის, აღრიცხვის კვანძის მოწყობისა და შეჭრის საფასურის და აღრიცხვის კვანძის დალუქვისა და მოხსნის აქტის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 7 სექტემბრის №გ-29.29222505 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

მუხლი 2. საკრებულოს განკარგულების პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს და სხდომას დასამტკიცებლად.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს იურიდიულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე: